ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი
„სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიას“ და სსიპ "საინფორმაციო ცენტრს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ" შორის

ქ. თბილისი **8 ოქტომბერი 2018 წ.**

ერთი მხრივ, „სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიას“ (შემდგომში „აკადემია") - წარმოდგენილი მისი რექტორის, პოლკოვნიკ ზაზა ჯაფარიძის სახით და მეორე მხრივ სსიპ "საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ" (შემდგომში "საინფორმაციო ცენტრი") წარმოდგენილი დირექტორის ნინო ბოლქვაძის სახით, სურვილი აქვთ რა, გააღრმავონ მხარეთა შორის თანამშრომლობა, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1. მიზანი

1.1 მხარეები გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის მზადყოფნას წინამდებარე მემორანდუმში მითითებულის შესაბამისად და გამოთქვამენ სურვილს, ერთმანეთს, როგორც პარტნიორ კომპანიას/ორგანიზაციას/დაწესებულებას, დაეხმარონ განვითარებაში.

1.2 ასევე, ხელი შეუწყონ ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციას და აღნიშნულ სტრუქტურებზე საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებულობისა და ცნობადობის გაზრდას შესაბამისი ერთობლივი პროექტების განხორციელების გზით.

მუხლი 2. მხარეთა ვალდებულებები

2.1 საინფორმაციო ცენტრი:

2.1.1 ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით აკადემიასთან თანამშრომლობის საფუძველზე განახორციელებს მხარეთა შორის შეთანხმებულ პროექტებს (სემინარებს, კონფერენციებს, გამოფენებს და ა.შ.);

2.1.2 საჭიროების შემთხვევაში მიაწვდის აკადემიას ცენტრის მიერ გამოცემულ ლიტერატურას;

2.1.3 მხარს დაუჭერს აკადემიაში სასწავლო პროცესის წარმართვას.

2.2 ეროვნული თავდაცვის აკადემია:

2.2.1 მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში აღმოუჩენს საინფორმაციო ცენტრს მხარდაჭერას სხვადასხვა პროექტის განხორციელებისათვის;
2.2.2 საჭიროების შემთხვევაში მიაწვდის საინფრომაციო ცენტრს აკადემიის მიერ გამოცემულ ლიტერატურას.

მუხლი 3. ფინანსური საკითხები

ურთიერთგაგების მემორანდუმი საინფორმაციო ცენტრსა და აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის თაობაზე (შემდგომში „მემორანდუმი") არ წარმოშობს ფინანსურ ვალდებულებებს მხარეთა შორის. ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით მხარეები შეთანხმდებიან დამატებითი ხელშეკრულებებით.

მუხლი 4. კონფიდენციალობა

მხარეების მიერ, წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში ერთმანეთისათვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია (მათ შორის აქტივობებში მონაწილე პირთა პერსონალური მონაცემები), დოკუმენტაცია და/ან სხვა ცნობები, მიუხედავად მათი წერილობითი ან ზეპირი ფორმისა, ითვლება კონფიდენციალურად და არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს ან დამუშავდეს სხვა მიზნებისთვის, გარდა ამ მემორანდუმით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლებისა.

მუხლი 5. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

5.1 ფორს-მაჟორის შემთხვევაში, მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის;

5.2 წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისათვის, ტერმინი "ფორს-მაჟორი" მოიცავს ამ პუნქტში ჩამოთვლილ მოვლენებს, თუ ისინი უშუალო გავლენას ახდენენ ამ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ესენია: სამხედრო მოქმედებები, რომლებიც გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომის შედეგია, აგრეთვე აჯანყებები, სამოქალაქო ომი და მღელვარება; ნებისმიერი მდგომარეობა, რომელიც არ ექვემდებარება კონტროლს და არ არის დამოკიდებული ამ ხელშეკრულების მხარეებზე.

5.3 მხარე, რომლისთვისაც დადგა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია ასეთი გარემოების დადგომიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 6. მემორანდუმის შეწყვეტის საფუძვლები:

6.1 მხარეთა შეთანხმება;

6.2 მემორანდუმის პირობების დარღვევა;

6.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებანი

7.1 მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 12 ოქტომბრის ჩათვლით;

7.2 მემორანდუმის მოქმედება ავტომატურად გრძელდება შემდგომი ერთწლიანი პერიოდებით მანამდე, სანამ ერთ-ერთი მხარე მემორანდუმის ვადის გასვლამდე 1 თვით ადრე არ აცნობებს მეორე მხარეს საკუთარი სურვილის შესახებ შეწყვიტოს წინამდებარე მემორანდუმი;

7.3 წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შეიძლება მხოლოდ მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმებით.

7.4 წინამდებარე მემორანდუმში მითითებული რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში, მხარეებმა დაუყოვნებლივ, წერილობით უნდა აცნობონ ერთმანეთს ამის შესახებ.

7.5 მხარეთა შორის ხელმოწერილი ამ მემორანდუმის ნებისმიერი დანართი, დამატება თუ შესწორება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

7.6 წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელიც გადაეცემა მხარეებს.

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

„სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია“	სსიპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“
მის: გორი, ცხინვალის გზატკეცილი, მე-3 კმ	მის: ქ.თბილისი, შ. დადიანის ქ. 2/1
პოლკოვნიკი ზაზა ჯაფარიძე რექტორი	ნინო ბოლქვაძე დირექტორი